

## ანგარიში

### აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ 2010 წლის 4 იანვრიდან 2010 წლის 31 დეკემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ზემოაღნიშნულ საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტმა:

1. შეიმუშავა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები, რომლებიც რეაგირებისათვის წარედგინა შესაბამის უწყებებს.
2. სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარა არაერთ ნორმატიული აქტის პროექტს (დადებითი დასკვნის გაცემის შესაბამისად, დამტკიცდა: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ახალი დებულებები, ასევე, „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“ მთავრობის დადგენილება, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის ბრძანება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროში სტაჟირებისა და

სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები, მათ შორის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება, ხოლო ცვლილებები და დამატებები განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, აფხაზეთის მთავრობის აპარატის, რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობათა (სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის–კინოცენტრ „აფხაზეთის“ დებულებებში).

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების რეესტრში დაარეგისტრირა და „აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე“-ში, ხოლო ახალი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოსა და აფხაზეთის კანონების მიღების შემდგომ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მეშვეობით, გამოქვეყნდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მთავრობისა და აღმასრულებელი დაწესებულებების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები.

4. სისტემაში მოიყვანა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის მთავრობის, აღმასრულებელი

ხელისუფლების დაწესებულებებისა და მთავრობის წარმომადგენლობების ნორმატიული აქტები.

5. უზრუნველყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების ელექტრონული ვერსიების მოძიება-აღდგენა კოდექს-პროგრამის სრულყოფის მიზნით.

6. განახორციელა საარქივო საქმისა და საქმისწარმოების მდგომარეობის შემოწმება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ დაწესებულებებში, გადაახალისა და შეიმუშავა აფხაზეთის არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა კონკრეტული სია, მოქალაქეებზე გასცა სოციალურ-სამართლებრივი ხასიათის ცნობები.

7. დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში საზოგადოების ინფორმირების მიზნით ჩაატარა სხვადასხვა კულტურულ-სამართლებრივი ღონისძიებები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტმა, დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, მოამზადა და აფხაზეთის მთავრობას განსახილველად გადაუგზავნა შემდეგი ნორმატიული აქტების პროექტები:

ა) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი;

ბ) „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის კანონის პროექტი;

გ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო თანამდებობათა რეესტრის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტი;

დ) „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოსა და აფხაზეთის ახალი კანონების მიღების საფუძველზე შეიმუშავდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2009 წლის 12 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტი;

ე) „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე – დევნილებზე ცნობის მომზადებისა და გაცემის ერთიანი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ბრძანების პროექტი.

უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამართლებრივი ექსპერტიზა ჩაუტარა და დადებითი დასკვნა გაეცა შემდეგ ნორმატიულ აქტების პროექტებს:

ა) „აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №18

დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს (20.01.2010წ.);

ბ) „აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 7 აგვისტოს №30 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

გ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

დ) „აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

ე) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №19 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

ვ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და/ან ფოტოიდენტიფიკაციის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ” რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ბრძანების პროექტს;

ზ) „აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს (18.03.2010წ.);

თ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

ი) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის კინოცენტრ „აფხაზეთი“-ს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2005 წლის 2 სექტემბრის №95 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს;

კ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის შექმნის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

ლ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს;

მ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

ნ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს;

ო) „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის სოციალური პროგრამების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ბრძანების პროექტს;

პ) „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე – დევნილებზე ცნობის მომზადებისა და გაცემის ერთიანი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ბრძანების პროექტს;

ჟ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

რ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

ს) „აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №18 დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს (15.07.2010წ.);

ტ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 14 აპრილის №14 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს;

უ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის №11 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს (20.07.2010წ.);

ფ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის დადგენილების პროექტს (16.07.2010წ.);

ქ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის ბრძანების პროექტს;

დ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის ბრძანების პროექტს;

ე) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების პროექტს;

შ) „განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის ბრძანების პროექტს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების რეესტრში დაარეგისტრირა და „აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე“-ში გამოაქვეყნა შემდეგი სახის ნორმატიული აქტები:

ა) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის კანონი (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №1, მუხლი 1. 5.02.2010.);

ბ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აფხაზეთის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ აფხაზეთის კანონი (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №10 მუხლი 24. 5.07.2010.);

გ) „აფხაზეთის მთავრობაში რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის თანამდებობის შემოღების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2008 წლის 4 აპრილის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის №1 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №2, მუხლი 2. 8.02.2010.);

დ) „რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის დებულებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2008 წლის 29 აპრილის №5 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლი №2 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №2, მუხლი 3. 8.02.2010.);

ე) „სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 9 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის №3 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №2, მუხლი 4. 8.02.2010.);

ვ) „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის

მთავრობის 2007 წლის 16 თებერვლის №6 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის №4 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №2, მუხლი 5. 8.02.2010.);

ზ) „იმერეთის რეგიონში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 16 თებერვლის №5 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის №5 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №2, მუხლი 6. 8.02.2010.);

თ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №2, მუხლი 7. 8.02.2010.);

ი) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 18 თებერვლის №7 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №3, მუხლი 8. 23.02.2010.);

კ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 18 თებერვლის №8 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №3, მუხლი 9. 23.02.2010.);

ლ) „აფხაზეთის მთავრობის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 7 აგვისტოს №30 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 18 თებერვლის №9 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №3, მუხლი 10. 23.02.2010.);

მ) „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 18 თებერვლის №10 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №3, მუხლი 11. 23.02.2010.);

ნ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და/ან ფოტოიდენტიფიკაციის დამდგენი კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ” რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის 2010 წლის 15 მარტის №6 ბრძანება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №4, მუხლი 12. 17.03.2010.);

ო) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 18 მარტის №11 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №5, მუხლი 13. 25.03.2010.);

პ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 18 მარტის №12 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №5, მუხლი 14. 25.03.2010.);

ჟ) „აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების კომისიის მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 23 მარტის №13 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №5, მუხლი 15. 25.03.2010.);

რ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 14 აპრილის №14 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №6, მუხლი 16. 15.04.2010.);

ს) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 14 აპრილის №15 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №6, მუხლი 17. 15.04.2010.);

ტ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის კინოცენტრ „აფხაზეთი“-ს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2005 წლის 2 სექტემბრის №95 ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2010 წლის 7 აპრილის №67/დ ბრძანება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №6, მუხლი 18. 15.04.2010.);

უ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 18 მაისის №16 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №7, მუხლი 19. 20.05.2010.);

ფ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №96/დ ბრძანება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №7, მუხლი 20. 20.05.2010.);

ქ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2010 წლის 27 მაისის №104/დ ბრძანება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №8, მუხლი 21. 27.05.2010.)

ღ) „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირებზე – დევნილებზე ცნობის მომზადებისა და გაცემის ერთიანი ინსტრუქციის

დამტკიცების შესახებ” რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის 2010 წლის 3 ივნისის №8 ბრძანება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №9, მუხლი 22. 07.06.2010.);

ე) „აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის სოციალური პროგრამების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის 2010 წლის 2 ივნისის №91 ბრძანება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №9, მუხლი 23. 07.06.2010.);

შ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის №17 დადგენილება (აფხაზეთის საკანონმდებლო მაცნე №11, მუხლი 25. 08.07.2010.).

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მეშვეობით, გამოქვეყნდა შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) „ნორმატიული აქტების შესახებ” აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი I, №60, მუხლი 376. 03.11.2010.);

ბ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ” კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე” აფხაზეთის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი I, №60, მუხლი 377. 03.11.2010.);

გ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ” აფხაზეთის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი I, №77, მუხლი 518. 31.12.2010.);

დ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 14 აპრილის №14 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 22 ივლისის №18 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი III, №91, მუხლი 1345. 27.07.2010.);

ე) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №18 დადგენილებაში დამატებების შეტანის თაობაზე” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 22 ივლისის №19 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი III, №91, მუხლი 1346. 27.07.2010.);

ვ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ” აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 22 ივლისის №20



დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი III, №91, მუხლი 1347. 27.07.2010.);

ხ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის №6 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 22 ივლისის №21 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი III, №91, მუხლი 1348. 27.07.2010.);

თ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 22 თებერვლის №11 დადგენილებაში დამატებების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 22 ივლისის №22 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი III, №91, მუხლი 1349. 27.07.2010.);

ი) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2010 წლის 9 სექტემბრის №219/პ ბრძანება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი III, №119, მუხლი 1765. 17.09.2010.);

კ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2009 წლის 12 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 2 ნოემბრის №23 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი III, №142, მუხლი 2048. 03.11.2010.);

ლ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრის 2010 წლის 11 ნოემბრის №01/79 ბრძანება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი III, №154, მუხლი 2189. 25.11.2010.);

მ) „განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ განსაკუთრებულ დავალებათა საკითხებში აფხაზეთის მინისტრის 2010 წლის 21 დეკემბრის №69 §1 ბრძანება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი III, №171, მუხლი 2461. 30.12.2010.);

ნ) „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 28 დეკემბრის №261/2 ბრძანება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ნაწილი III, №171, მუხლი 2462. 30.12.2010.);

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის არქივის განყოფილება, ადმინისტრაციული მენეჯმენტისა და პროფესიული საქმიანობის სრულყოფის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოთხოვნების ეფექტური დაკმაყოფილების მიზნით, ეროვნული არქივის დებულების მე-3 მუხლის „ზ“ პუნქტის „ზ.ზ“. ქვეპუნქტის შესაბამისად, განახორციელა შემდეგი სამუშაოები და დონისძიებები:

ა) დაინერგა არქივის განყოფილების მიერ წარსადგენი საგეგმო, საანგარიშო და საადრიცხვო დოკუმენტაციის ტაბელი;

ბ) ეროვნული არქივის ცენტრალურ საფონდო კატალოგში ჩასართავად წარდგენილ იქნა არქივის განყოფილებაში დაცულ დოკუმენტებზე ფონდის ბარათები;

გ) შეიმუშავა არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა კონკრეტული სია (№1), გადახალისდა ძველი სია და შეტანილ იქნა მონაცემები მომხდარი ცვლილებების შესახებ;

დ) შემუშავდა და გადახალისებულ იქნა არქივის განყოფილების საქმეთა ნომენკლატურა (მოწონებული სკ-ის მიერ 24.06.2010, ოქმი №3 და შეთანხმებული სშკ-თან 29.06.2010, №3);

ე) დადგენილი წესით წარდგენილი იქნა ანგარიში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვის ორგანიზაციის შესახებ (ფ.№3–არქივის პასპორტი) და ცნობები, ზუსტი მონაცემებით შედგენილი, ფონდების შემადგენლობასა და მოცულობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ;

ვ) სახელმწიფო დაცვაზე მიღებულ იქნა აფხაზეთის კონტროლის პალატის, სსიპ სოხუმის მრავალდარგოვანი კოლეჯისა და სსიპ ქ. სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დაუმუშავებელი დოკუმენტური ფონდები, რომლებიც განყოფილების საექსპერტო კომისიის მიერ მოყვანილ იქნენ სამეცნიერო-ტექნიკურ წესრიგში;

ზ) განხორციელდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროში საარქივო საქმისა და საქმისწარმოების მდგომარეობის შემოწმება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროში ჩატარდა განმეორებითი შემოწმება;

თ) განხორციელდა არსებული წიგნების ფონდის კლასიფიკაცია და კატალოგიზაცია. ფონდში არსებული მასალების მიხედვით შეიქმნა თემატური კარტოთეკა და ასევე საინვენტარო წიგნი;

ი) გაიცა 130 სოციალურ-სამართლებრივი ხასიათის ცნობა;

კ) საქართველოს ეროვნულ არქივში წარდგენილ იქნა არქივის განყოფილების დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებებში დაცული ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების მდგომარეობისა და მოცულობის ამსახველი სტატისტიკური ანგარიში (ფორმა №2ცსა).

საგულისხმოა, რომ არქივის განყოფილებამ მმართველობითი დოკუმენტაციის გეგმით გათვალისწინებული 600 შეს. ერთეულის ნაცვლად მიიღო 693 შეს. ერთეული, რაც შეადგენს გეგმით გათვალისწინებული სამუშაო მოცულობის 115,5 %-ით გადაჭარბებას. ხოლო პირადი შემაღვენლობის შემთხვევაში 350 შეს. ერთეულიდან მიიღო მხოლოდ 151 შეს. ერთეული, რაც შეადგენს გეგმით გათვალისწინებულ სამუშაო მოცულობის 43,1 %-ს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ დაწესებულებებში საქმისწარმოების მდგომარეობის შემოწმების დროს გაწეულ იქნა მეთოდური დახმარება საარქივო დოკუმენტების დაცვისა და შენახვის, მოვლა-პატრონობის, საქმისწარმოებისა და დაწესებულების საქსპერტო კომისიის მუშაობის ორგანიზაციაში და ასევე ჩატარებულ იქნა კონსულტაცია “დაწესებულებათა არქივების მუშაობის წესები”-ს პრაქტიკაში დასახერგად.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტმა უზრუნველყო არაერთი ღონისძიების ჩატარება, კერძოდ:

ა) კავკასიურ სახლში – „კოლხური ცივილიზაციის ნიშნები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე და შავი არქეოლოგიის პრევენცია” (აფხაზეთში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთების გაცნობა საზოგადოებისათვის);

ბ) სამების საკათედრო ტაძარში გამოფენა თემაზე – „აფხაზეთის სულიერი მემკვიდრეობა – ქართული სალოცავები”;

გ) დევნილ ბავშვთა საკვირაო სკოლაში ლექცია თემაზე – „ნარკომანია, როგორც ავადმყოფობა და დანაშაული, მისი პრევენცია მოზარდებს შორის”;

დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან და მეომართა კავშირთან თანამშრომლობით „16 მარტის ხსოვნის საღამო”;

ე) „კავკასიური სახლის” საგამოფენო დარბაზში პირველი აფხაზი იურისტის გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის თბილისის გუბერნატორად დანიშნვიდან 131-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება თემაზე „ორი გიორგი შარვაშიძე”;

ვ) ქ. ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული და გამოვლენილი მასალები „აფხაზეთის XIX საუკუნის მე-2 ნახევრის შესახებ”;

ზ) ღონისძიება თემაზე - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო „სამშობლოსათვის მარადისობაში”.

მონაწილეობა მიიღო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირების დასაქმებისა და განათლების ფორუმში“.

ამასთან, დეპარტამენტმა უზრუნველყო: უმაღლესი სასწავლებლებიდან წარმოდგენილი მოთხოვნების საფუძველზე

სტუდენტთათვის სასაწავლო პრაქტიკის გავლა; „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის სისტემაში სტაჟირების გავლის წესის“ შესაბამისად, სტაჟირების მიღების ორგანიზება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ, დებულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და ამოცანების გათვალისწინებით, დეპარტამენტში შემოსულ არაერთ წერილზე მიღებული იქნა სათანადო გადაწყვეტილება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწია სამართლებრივი კონსულტაციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.